ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8110421

ნომერი: AR11163871

თარიღი : 05.10.2026

გაცემის თარიღი : 19.10.2026

გაცნობის თარიღი : 28.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უცნობ გმირთა ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ელგუჯა პატაშური პ/ნ 01011043635
- კობარეთის 71

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026

წლის 5 ოქტომბერს №AR11163871 განაცხადით მომართა ელგუჯა პატაშურმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებით, №01.12.21.001.210 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი - (ც ბლოკი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6844241 და 2024 წლის 31 იანვრის №6865007 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებაში.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.12.21.001.356 დაფიქსირებას ნაცვლად №01.12.21.001.210 საკადასტრო კოდისა.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882026887624, მომზადების თარიღი: 01/10/2026წ.) თანახმად, №01.12.21.001.356 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ეკო ინვესტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: B26365316, მომზადების თარიღი 22/05/2026). ამასთან, წინამდებარე განაცხადზე წარმოდგენილია შპს „ეკო ინვესტი“-ს დირექტორის ნოდარ გიორგაძის მიერ ელგუჯა პატაშურის სახელზე გაცემული მინდობილობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი არის - №01.12.21.001.356, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და №01.12.21.001.210 საკადასტრო კოდის ნაცვლად №01.12.21.001.356 საკადასტრო კოდის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანებაში
და:
1.1. ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში საკადასტრო კოდის გრაფაში: №01.12.21.001.210 ნაცვლად დაფიქსირდეს №01.12.21.001.356.
1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში №01.12.21.001.210 ნაცვლად დაფიქსირდეს №01.12.21.001.356.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828864, 2024 წლის 16 იანვრის №6844241 და 2024 წლის 31 იანვრის №6865007 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.